საზოგადოების ინფორმირებულობისა და ჩართულობის გავლენა კიბოს სკრინინგის პროგრამების ეფექტიანობაზე საქართველოში

მარიამ ოქროაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: ირმა კირთაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ოქროაძე, …… 19.06.2025

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი მიზნად ისახავს საზოგადოების ინფორმირებულობისა და ჩართულობის გავლენის შესწავლას საქართველოში მოქმედი კიბოს სკრინინგის პროგრამების ეფექტიანობაზე. საქართველოში კიბოს შემთხვევათა მზარდი ტენდენციის ფონზე, სკრინინგის პროგრამების ეფექტურობა კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ასევე ჯანდაცვის მენეჯმენტის კუთხით. საკვლევი საკითხი ეხება იმ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ მოსახლეობის ცოდნას, დამოკიდებულებასა და მონაწილეობის დონეს სკრინინგში.

კვლევა ეფუძნება რაოდენობრივ მეთოდოლოგიას და განხორციელდა ონლაინ კითხვარის მეშვეობით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 345-მა რესპონდენტმა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფიდან და საქართველოს რეგიონიდან. მონაცემთა ანალიზმა შესაძლებელი გახადა, გამოვლენილიყო ისეთი კავშირები, როგორიცაა ექიმის რჩევისა და ინფორმაციის წყაროს ზეგავლენა სკრინინგში მონაწილეობაზე, ასევე სუბიექტური აღქმისა და რეალური ქცევის თანხვედრა.

მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ ინფორმირებულობის მაღალი დონე, ექიმის რეკომენდაცია და სკრინინგის მნიშვნელობის აღქმა პოზიტიურად მოქმედებს რეალურ მონაწილეობაზე, თუმცა ინფორმაციის ფლობა ყოველთვის არ კონვერტირდება ქმედებაში. მნიშვნელოვანი ბარიერები აღმოჩნდა სერვისების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, სერვისის ხარისხისადმი უნდობლობა და ნაკლები კომუნიკაცია პირველადი ჯანდაცვის სისტემის დონეზე. ამ მიგნებებზე დაყრდნობით, ნაშრომში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია ჯანდაცვის კომუნიკაციის გაძლიერების, სამედიცინო პერსონალის აქტიური ჩართულობის, რეგიონული სერვისების გაუმჯობესებისა და სტრატეგიული ცნობიერების კამპანიების საჭიროებისკენ.

ნაშრომის მიგნებები სასარგებლოა როგორც ეროვნული ჯანდაცვის პოლიტიკის გაუმჯობესებისთვის, ისე მომდევნო კვლევების დაგეგმვისთვის, რომლებიც დააზუსტებს არსებული პროგრამების სიძლიერეებსა და სისუსტეებს.

საკვანძო სიტყვები: კიბოს სკრინინგი, ინფორმირებულობა, პირველადი ჯანდაცვა, პროგრამების ეფექტიანობა.

Abstract

This master's thesis aims to explore the impact of public awareness and engagement on the effectiveness of cancer screening programs in Georgia. Against the backdrop of a growing trend in cancer incidence in the country, the efficiency of screening programs has become critically important both in terms of public health and healthcare management. The core research question concerns the factors that influence the population's knowledge, attitudes, and participation in screening initiatives.

The study employs a quantitative research methodology and is based on an online questionnaire completed by 345 respondents from different age groups and regions of Georgia. The data analysis allowed for the identification of correlations between variables such as the influence of physician recommendations, sources of information, and the alignment between subjective perception and actual behavior in relation to screening.

The results indicate that a higher level of awareness, physician endorsement, and the perceived importance of screening have a positive effect on participation rates. However, having information does not always translate into action. Key barriers identified include limited geographic accessibility of services, a lack of trust in service quality, and insufficient communication within the primary healthcare system. Based on these findings, the thesis proposes several recommendations focused on strengthening health communication, increasing the active involvement of medical professionals, improving regional service access, and implementing strategic public awareness campaigns.

The findings of this research are valuable for informing national healthcare policy improvements and for guiding future studies that aim to refine the strengths and address the weaknesses of existing screening programs.

Keywords: cancer screening, awareness, public health, program effectiveness